# მიეძღვნება ფიზკულტურელის საკავშირო დღეს

საქართველოს სპორტული ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან ფიზკულტურელის საკავშირო დღის — 8 აგვისტოს ღირსეულად შესახვედრად. გაიმართება საინტერესო სპორტული ღონისძიებები, სამატჩო შეხვედრები, ველო და მოტოგადარბენები, ლაშქრობები და სხვ.

სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალურ საბჭოში შემავალი ფიზკულტურის კოლექტივები მონაწილეობას მიიღებენ ბევრ მასობრივ-სპორტულ ღონისძიებაში. თბილისში, ამ საზოგადოების ფრენბურთის მოედნებზე, ერთმანეთს შეხვდებიან მსხვილი საწარმო - დაწესებულებების ფრენბურთელთა გუნდები. მსგავსი ღონისძიება, ამჯერად ჩოგბურთში, ჩატარდება „განთიადის" კორტებზე. ორთაჭალაში მდებარე საცურაო აუზში დილიდან საღამომდე ცურვის მოყვარულები მასობრივი სტარტების მონაწილენი გახდებიან.

ბევრი საინტერესო და მიმზიდველი სანახაობა გაიმართება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო რესპუბლიკის სასოფლო ცენტრების სტადიონებზე, იპოდრომებზე აწყობს დიდ სპორტულ შეჯიბრებებს ეროვნულ სახეობებში, აგრეთვე ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში.

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს ეძღვნება კოლმეურნე მთასვლელთა ასვლები კავკასიონის მწვერვალებზე.

8 აგვისტოსთვის მრავალი ღონისძიების მოწყობა აქვს განზრახული „სპარტაკის" რესპუბლიკურ საბჭოს. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზსა და მოედნებზე ერთმანეთის ძალას მოსინჯავენ კალათბურთელები, ფრენბურთელები. რუსთავში [illegible] ფეხბურთელთა გუნდები.

მომავალ შაბათს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების სპორტულ ბაზებზე გამართულ ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ მასობრივ ღონისძიებებში გამოვა ათასობით სპორტსმენი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 153 (2516) ◉ ოთხშაბათი, 5 აგვისტო, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ.



ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით ვრცელდება ფულადი და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის ბილეთები




ლატარიის ბილეთების შეძენა შეიძლება სპორტკავშირებში, „საქწიგნის" მაღაზიებსა და „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში.


# ნონა გაფრინდაშვილის პირველი ქულა

## მინსკის ნახევარფინალში

მინსკი, 4 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). აქ საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კავშირის ვაჟთა XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალი. ტურნირში მონაწილენი კენჭისყრის შემდეგ ასე განაწილდნენ: 1. ოსტატი ხოდოსი (როსტოვი), 2. გაფრინდაშვილი (თბილისი), 3. ოსტატი ლიბერზონი (მოსკოვი), 4. ოსტატი შაგალოვიჩი (მინსკი), 5. ოსტატობის კანდიდატი მუხინი (ტაშკენტი), 6. ოსტატი ზახარიანი (ერევანი), 7. დიდოსტატი სუეტინი (მინსკი), 8. ოსტატობის კანდიდატი ვორემაა (ტალინი), 9. ოსტატი ეტრუკი (ტალინი), 10. ოსტატობის კანდიდატი ბოიარინოვი (დუშანბე), 11. ოსტატობის კანდიდატი ვალიევი (აშხაბადი), 12. ოსტატი კრუტიხინი (ფრუნზე), 13. ოსტატობის კანდიდატი ნოსოვი (ალმა-ატა), 14. საერთაშორისო ოსტატი მიკენასი (ვილნიუსი), 15. ოსტატი ზილბერი (რიგა), 16. ოსტატი გურგენიძე (თბილისი), 17. ოსტატობის კანდიდატი ბირბრაგერი (ტაშკენტი), 18. ოსტატი სავონი (ხარკოვი).

I ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა ნონა გაფრინდაშვილის შეხვედრა ბირბრაგერთან, რომელიც, სხვათა შორის, არის აგრეთვე სპორტის ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში. მსოფლიო ჩემპიონმა მძლავრად დალაშქრა მეტოქის პოზიცია და მხედრის მოხდენილი შეწირვით 23-ე სვლაზე გაიმარჯვა.

სუეტინმა მოუგო კრუტიხინს. ყაიმით დამთავრდა ლიბერზონ — გურგენიძისა და ეტრუკ—ბოიარინოვის შეხვედრა.

II ტურში სუეტინმა დაამარცხა ნოსოვი, ხოლო გურგენიძე — შაგალოვიჩის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ტურნირზე ხოდოსის დაგვიანების გამო არ შედგა ხოდოს—გაფრინდაშვილის პარტია.

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო

...საფრანგეთის ქალაქ ვიშიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა: ჩვენმა ჩოგბურთელებმა მოიპოვეს გალეას თასი.

## ფეხბურთის მინდვრებზე

**მოსკოვი, 4 აგვისტო.** დღეს აქ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა" და საბერძნეთის კლუბის „პანიონიოსის" ფეხბურთელები.

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 3:3.

**ლვოვი, 4 აგვისტო.** ადგილობრივი „კარპატის" ფეხბურთელები დღეს ეთამაშენ ბულგარეთის მეშახტეთა გუნდს — „მინიორს".

მატჩი მოიგეს მასპინძლებმა—2:1.



სურათზე: კარტინგით საქართველოს პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ო. აკოფოვი (მარცხნივ) და ვ. ფეხლევანიანი.




# ჩვენი ჩოგბურთელები წინ არიან

## ა. მეტრეველისა და ა. ივანოვის წყვილის წარმატება

**ვიში** (საფრანგეთი), 4 აგვისტო. გალეას თასის ფინალურ მატჩში საბჭოთა ჩოგბურთელებმა ა. მეტრეველმა და ა. ივანოვმა დაამარცხეს ამ ძვირფასი სპორტული ნადავლის მფლობელი, ჩეხოსლოვაკიის წყვილი — კოუდელკა და პალი (6:4, 5:7, 9:7, 8:6). ანგარიში გახდა 2:1 ჩვენების სასარგებლოდ. ორი დარჩენილი ერთეულთა შეხვედრა გამოავლენს ჭაბუკთა გუნდებს შორის ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატის გამარჯვებულს.

* * *

◆ **მოსკოვი, 4 აგვისტო.** გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდის" პრიზზე ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლის სტარტზე დედაქალაქის სპორტსმენებთან ერთად გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ველოსიპედისტები, რომლებიც ტოკიოს ოლიმპიადისთვის ემზადებიან. ესენი არიან გ. საიდხუჟინი (ჩელიაბინსკი), ა. პეტროვი, ი. მელიხოვი, ა. ოლიზარენკო (ყველანი — ლენინგრადიდან), გ. ლებედევი (აშხაბადი), ა. ვიარავასი (ტალინი) და სხვ. რბოლის მონაწილეებს გასავლელი აქვთ 5 ეტაპი (800 კილომეტრზე მეტი).

◆ **ლენინგრადი, 4 აგვისტო.** „ნევის რკალზე" სერიული „ვოლგების" ასპარეზობით დამთავრდა კაუნასში დაწყებული საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატი საავტომობილო სპორტში. უძლიერესის ოქროს მედალი მოიხვეჭა ლენინგრადელმა ი. ერმაკოვმა. ამ გამარჯვებით მასპინძლებმა შეინაღდეს წარმატება გუნდურ ჩათვლაში (მოკავშირე რესპუბლიკათა, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგარდის ჯგუფში). მეორე ადგილზე არიან ესტონეთის სპორტსმენები, მესამეზე — ლატვიისა. საზოგადოებათა ნაკრები გუნდების ჯგუფში სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ „ტრუდის" ავტომრბოლელები. კოლექტივთა ჯგუფში წარმატება მოიპოვეს მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტოქარხნის (სპორტკლუბი „მოსკვიჩი") წარმომადგენლებმა.

# პატარა თვითმფრინავების დიდი სისწრაფე

**ბუდაპეშტი, 3 აგვისტო.** 21 ქვეყნის „პატარა ავიაციის" ორასმა კონსტრუქტორმა უნგრეთის დედაქალაქში ჩამოიტანა საკორდო სწრაფმავალი, სარბოლო და საპილოტაჟო თვითმფრინავების მოდელები. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ხუთივე დღეს ქროდა ძლიერი ქარი, ამ პატარა თვითმფრინავებმა ძალიან დიდი სისწრაფე განავითარეს.

ყველაზე საინტერესო ასპარეზობაში — საპილოტაჟო მოდელებით შეჯიბრებაში — გაიმარჯვა მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილემ, სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოველმა ი. სიროტკინმა, რომელმაც ამჯერადაც საუკეთესო მოდელი შექმნა.

ჩვენმა მოდელისტებმა ოქროს მედლები გუნდური გამარჯვებისთვის მეორე სახეობაშიც მოიპოვეს, — სარბოლო მოდელების შეჯიბრებაში. აქ პირად ჩათვლაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ინგლისელები რ. პლეისი და დ. ჰევორტი.

საათში 227 კმ სისწრაფე განავითარა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის, ამერიკელი ბ. ვიშნევსკის სწრაფმავალმა მოდელმა. ჩვენს „სწრაფოსნებს" „ბედმა უმუხთლათ" — ჩვენგან საუკეთესომ — ე. მოსიაკოვმა მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა.

# ოქროს მედლები — შოფრებს

**ლენინგრადი, 3 აგვისტო.** ტალინის № 1 ავტობაზა 1958 წლიდან თავისი ავტომობილისტებისთვის ამზადებს სწრაფმავალ, ელეგანტურ მანქანებს „ესტონია". ამ მანქანებით გამოდიან ასპარეზობებში საუკეთესო ესტონელი მრბოლები. ზუსტად ასეთი სარბოლო ავტომანქანა გააკეთეს ავტობაზელებმა თავიანთი ბაზის შოფრისთვის მადის ლაივასთვის. სწორედ ეს მანქანა მოეხმარა ლაივასს მეორედ გამხდარიყო სსრ კავშირის ჩემპიონი „ნევის რკალზე" მეოთხე ფორმულის სარბოლო მანქანების კლასში.

„ტ" კლასის მანქანებით რბოლებში კონკურენციის გარეშე იყვნენ ლენინგრადელები: „როსმოლოკოს" ერთ-ერთმა მძღოლმა მ. კოვალიოვმა ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა თბილისელ ტაქსისტს შოთა მამრიკაშვილს.

თბილისელმა ტაქსისტებმა კიდევ ერთი მედალი — ამჯერად ბრინჯაოსი — მოიპოვეს პირველი ფორმულის მანქანების კლასში. მედლის მფლობელი გახდა ბორის სუხიშვილი. ამ სახეობაში ყველას აჯობა მოსკოველმა გ. სურგუჩოვმა.

საუცხოოდ გაიარა „ნევის რკალის" მზაკვრული ტრასა ტალინელმა ზეინკალმა ჰ. საარმა. მისმა „ესტონიამ" 27 წრე ყველაზე სწრაფად მოლია.

# ეს იქნება აგვისტოში

საბჭოთა სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან ტოკიოს ოლიმპიური სტარტებისთვის. ამასთან ერთად, ისინი ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებში შეხვდებიან უცხოელ სპორტსმენებს, რაც ოლიმპიადისთვის მზადების საუკეთესო საშუალებაა.

მიმდინარე თვეში დაგეგმილია საბჭოთა და უცხოელი სპორტსმენების 27 საერთაშორისო შეჯიბრება.

6-დან 9 აგვისტომდე ამსტერდამში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვაჟთათვის. 8 და 9 აგვისტოს კიევის სპორტის მოყვარულები ნახავენ მძლეოსანთა ტრადიციულ შეჯიბრებას სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა მონაწილეობით, ხოლო საბჭოთა დინამოელი მსროლელები მსგავს შეჯიბრებაში გამოვლენ პრაღაში.

ბევრი საინტერესო შეჯიბრება გაიმართება მოსკოვში. 9 აგვისტოდან სსრ კავშირის დედაქალაქის კორტებზე დაიწყება ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. აქ არ გამოვლენ საქართველოს უძლიერესი ჩოგბურთელები, რომლებიც ამ პერიოდში ბუდაპეშტში არიან მიწვეული. 30 აგვისტოს დაიწყება კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. მოსკოვსახლო გზატკეცილზე ხვალიდან 9 აგვისტომდე განზრახულია საინტერესო რბოლების ჩატარება: ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და საფრანგეთის ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდები. ჯერ მოსკოვის, შემდეგ ლენინგრადის სპორტულ ბაზებზე თავიანთ ოსტატობას გამოავლენენ სსრ კავშირის, უნგრეთის, ინგლისისა და ფინეთის ხუთჭიდელები.

საერთაშორისო მატჩებს ნახავენ თბილისელი გულშემატკივრებიც. ჩვენთან სტუმრად ჩამოდის საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი „პანიონიოსი". იგი 7 აგვისტოს შეხვდება თბილისის „ლოკომოტივს", მანამდე კი შეხვედრას ჩაატარებს მოსკოვში. 11 აგვისტოს სტუმრები ითამაშებენ ერევანში.

25 აგვისტოს საბჭოთა კავშირში ჩამოდიან განელი მოკრივეები, რომლებიც გამოვლენ მოსკოვისა და თბილისის რინგებზე.

შორი გზის გავლა მოუწევთ საქართველოს ტანმოვარჯიშე ვაჟებს. 27 და 30 აგვისტოს ჰანოიში ისინი შეეჯიბრებიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს.

ჰ. ხარიძე

# ახალი ფაზა — ახალი ამოცანები

განვლილია მიმდინარე წლის მეშვიდე თვე—ივლისი. იგი წინ უძღვის ფიზკულტურელთა საკავშირო დღეს — 8 აგვისტოს. ამ ღირსშესანიშნავი დღის შესახვედრ მზადებას რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები დიდი ხანია შეუდგნენ.

გაზეთ „ლელოს" 1964 წლის 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „შედეგები და გეგმები" რესპუბლიკის საზოგადოებრიობას გააცნო ქალაქებისა და რაიონების მიერ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში გეგმების შესრულების მიმდინარეობა 1 ივლისისათვის. ნახევარი წლის განმავლობაში მომზადებული 40 ათასზე მეტი მშთ ნიშნოსანი, 43 ათასი სპორტსმენ-თანრიგოსანი, 10 ათასი საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრი და 64 სპორტის ოსტატი, რასაკვირველია, კარგი მაჩვენებელი იყო და ასევე კარგ ნობათს წარმოადგენდა ფიზკულტურელის საკავშირო დღისთვის. თუ ამას დავუმატებთ ასობით სპორტულ შეჯიბრებას, ტურისტულ ლაშქრობებს, მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებსა და სხვა სახის ეფექტურ საშუალებებს, რომლებსაც რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები ატარებენ მშრომელთა ფართო მასების გაჯანსაღებისთვის, ცხადი გახდება, რომ ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები ღირსეულად ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს.

მაგრამ დღესასწაულამდე, იმ მაჩვენებლების შემდეგ, კიდევ ერთი თვე გავიდა. ამასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გადავხედავთ იმასაც, რაც ივლისში გაკეთდა.

თუ ქვემომოყვანილ წლიური გეგმა-ვალდებულებების შესრულების ცხრილს ადრე, ივლისში გამოქვეყნებულს შევადარებთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, წყალტუბოს, აგრეთვე ზუგდიდის, მახარაძის, მცხეთის, ცხაკაიასა და სხვა რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. ამან კი ჩვენ საშუალება მოგვცა მშთ ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმა-ვალდებულება გასულ 7 თვეში შეგვესრულებინა თითქმის 70 პროცენტით, სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებისა — 65 პროცენტით, საზოგადოებრივ-ფიზკულტურული კადრების მომზადებისა კი 60 პროცენტით. ამასთან, მარტო ივლისში რესპუბლიკაში 300-ზე მეტ სპორტსმენს მიენიჭა პირველი თანრიგი, ხოლო 20-მდე სპორტსმენს — სპორტის ოსტატის საპატიო წოდება. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ დროულად შევახსენეთ რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გეგმა-ვალდებულებათა შესახებ, რამაც ბევრი ფიზკულტურული მუშაკი გამოაფხიზლა, ზოგნი კი სერიოზულად ჩააფიქრა. დასაფიქრებელი კი მართლაც არის. ბევრგან ამ მიმართებით საგრძნობი გარღვევებია, რაზეც ნათლად მეტყველებს მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების წლიური გეგმა-ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა. ქვემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით (მდგომარეობა 1 აგვისტოსათვის):

| სპორტკავშირის დასახელება | მშთ ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმის შესრულება პროცენტებში | II, III და მოზარდთა თანრიგის სპორტსმენთა წლიური გეგმის შესრულება პროცენტებში | I თანრიგი: გეგმა | I თანრიგი: შესრულება | სპორტის ოსტატი: გეგმა | სპორტის ოსტატი: შესრულება | საზოგ. კადრები (ათასებში): გეგმა | საზოგ. კადრები (ათასებში): შესრულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ | 40 | 50 | 227 | 52 | 21 | 4 | 1.2 | — |
| 2. აჭარის ასსრ | 68 | 73 | 219 | 88 | 15 | 7 | 2.0 | — |
| 3. სამხრეთ ოსეთის ა. ო. | 67 | 36 | 100 | 26 | 3 | 3 | 0.5 | — |
| 1. თბილისი | 56 | 56 | 828 | 271 | 131 | 32 | 5.1 | 3,0 |
| 2. ქუთაისი | 83 | 60 | 145 | 127 | 20 | 6 | 2.0 | 1,4 |
| 3. ფოთი | 55 | 59 | 22 | 20 | 2 | 1 | 0.4 | 0,2 |
| 4. ჭიათურა | 60 | 83 | 16 | 6 | 1 | — | 0.2 | 0,1 |
| 5. რუსთავი | 40 | 72 | 23 | 14 | 3 | 5 | 0.4 | 0,2 |
| 6. გორი | 100 | 60 | 22 | 21 | 2 | 3 | 0.2 | 0,2 |
| 7. ბორჯომი | 70 | 62 | 29 | 8 | 2 | — | 0.3 | 0,1 |
| 8. ზესტაფონი | 43 | 100 | 17 | 9 | 2 | — | 0.4 | 0,4 |
| 9. ზუგდიდი | 120 | 67 | 5 | 5 | 2 | — | 0.4 | 0,4 |
| 10. კასპი | 60 | 80 | 2 | — | 1 | — | 0.2 | 0,1 |
| 11. სამტრედია | 75 | 43 | 24 | 3 | 1 | — | 0.3 | 0,1 |
| 12. თელავი | 150 | 55 | 18 | 1 | 1 | — | 0.1 | 0,2 |
| 13. ტყიბული | 83 | 120 | 4 | — | 1 | — | 0.2 | 0,2 |
| 14. წყალტუბო | 66 | 114 | 5 | 11 | 1 | — | 0.2 | 0,2 |
| **რაიონები:** | | | | | | | | |
| 1. ამბროლაურის | 50 | 52 | 6 | 4 | — | — | 0.3 | 0,2 |
| 2. ახალქალაქის | 54 | 50 | 7 | 1 | 1 | — | 0.7 | 0,3 |
| 3. ახალციხის | 53 | 61 | 6 | 3 | 1 | — | 0.2 | 0,1 |
| 4. ახმეტის | 71 | 71 | — | — | — | — | 0.1 | 0,1 |
| 5. ბოლნისის | 52 | 54 | 1 | — | — | — | 0.5 | 0,2 |
| 6. გარდაბნის | 57 | 50 | 14 | — | 6 | 1 | 0.2 | 0,1 |
| 7. გეგეჭკორის | 143 | 87 | 1 | 2 | — | — | 0.4 | 0,2 |
| 8. გორის | 70 | 67 | 4 | — | — | — | 0.3 | 0,1 |
| 9. გურჯაანის | 111 | 62 | 4 | — | 2 | — | 0.5 | 0,1 |
| 10. დუშეთის | 66 | 71 | 4 | — | 1 | — | 0.1 | 0,1 |
| 11. ზესტაფონის | 60 | 67 | 5 | — | 1 | — | 0.6 | 0,4 |
| 12. ზუგდიდის | 90 | 120 | 13 | 9 | 1 | 2 | 0.7 | 0,3 |
| 13. ყაზბეგის | 68 | 50 | 5 | — | 2 | 1 | 0.1 | — |
| 14. ყვარლის | 72 | 83 | 6 | 12 | — | — | 0.8 | 0,6 |
| 15. ლანჩხუთის | 60 | 57 | 5 | 4 | — | — | 0.3 | 0,2 |
| 16. ლენტეხის | 100 | 75 | 1 | — | 1 | — | 0.2 | 0,3 |
| 17. მარნეულის | 100 | 80 | 2 | — | — | — | 0.4 | 0,4 |
| 18. მახარაძის | 95 | 90 | 11 | 6 | 1 | 1 | 0.7 | 0,6 |
| 19. მაიაკოვსკის | 64 | 50 | — | — | — | — | 0.2 | 0,1 |
| 20. მესტიის | 100 | — | 7 | — | 1 | — | 0.1 | 0,1 |
| 21. მცხეთის | 100 | 100 | 13 | 7 | 3 | 4 | 0.1 | — |
| 22. ორჯონიკიძის | 62 | 67 | — | — | — | — | 0.3 | 0,2 |
| 23. საგარეჯოს | 62 | 44 | 5 | — | 1 | — | 0.3 | 0,1 |
| 24. წულუკიძის | 51 | 37 | 5 | — | 2 | — | 0.2 | |
| 25. საჩხერის | 100 | 100 | — | — | — | — | 0.3 | 0,3 |
| 26. სიღნაღის | 60 | 43 | 5 | 9 | — | — | 0.4 | 0,1 |
| 27. თელავის | 80 | 83 | 2 | — | — | — | 0.2 | 0,1 |
| 28. თეთრი წყაროს | 68 | 61 | 2 | 2 | — | — | 0.2 | — |
| 29. თიანეთის | 100 | 100 | — | — | — | — | 0.1 | — |
| 30. ხაშურის | 90 | 100 | 10 | 10 | — | — | 0.2 | — |
| 31. ცაგერის | 67 | 75 | 1 | — | — | — | 0.1 | — |
| 32. წალენჯიხის | 86 | 50 | 1 | — | — | — | 0.2 | 0,1 |
| 33. ცხაკაიას | 72 | 76 | 6 | 2 | — | — | 0.2 | 0,2 |
| 34. წყალტუბოს | 78 | 55 | 4 | — | — | — | 0.5 | 0,3 |
| 35. ჩოხატაურის | 58 | 68 | 3 | 1 | — | — | 0.2 | 0,1 |
| დანარჩენ ორგანიზაციებში | — | — | 135 | 274 | 67 | 13 | — | — |
| სულ რესპუბლიკაში | 69 | 65 | 2.000 | 1.008 | 300 | 83 | 25.0 | 12,8 |

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 20-მდე ქალაქისა და რაიონის მონაცემი „გაყინული" დარჩა ისე, რომ ივლისის თვემ მათ არაფერი შეძინა. ეს კი ყოვლად შეუწყნარებელი მოვლენაა. მუშაობის ასეთ „მეთოდს" სტიქიურობამდე მივყავართ, იგი ძალზე უარყოფითად მოქმედებს მომზადებულ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა ხარისხზე.

განა ეპატიებათ სპორტკავშირების კასპის (თავმჯდომარე გ. კიკაჩეიშვილი), ტყიბულის (თავმჯდომარე ვ. ოქრუაძე), გარდაბნის (თავმჯდომარე ს. ხელაშვილი), მესტიის (თავმჯდომარე ბ. რატიანი), წულუკიძის (თავმჯდომარე ა. ყუფარაძე), წყალტუბოსა (თავმჯდომარე შ. კინწურაშვილი) და სხვა საბჭოებს ის, რომ მიმდინარე წლის შვიდ თვეში მათთან არც ერთი პირველთანრიგოსანი სპორტსმენი არ მოუმზადებიათ?.. ძალზე ნელი ტემპით იზრდება სპორტის ოსტატთა რიცხვი, რაც გეგმის შეუსრულებლობის გარკვეულ საშიშროებას ქმნის.

რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სპორტსმენ-თანრიგოსანთა სპორტის დაგეგმილი სახეობების მიხედვით მომზადებაზე, რადგან იგი ბევრად განაპირობებს ამ სახეობათა შემდგომ განვითარებას. ამ მხრივ რესპუბლიკაში ყველაფერი რიგზე როდია. სპორტის დაგეგმილი 30 სახეობიდან სისტემატურად არ სრულდება გეგმები ისეთებში, როგორიცაა კრივი, ველოსპორტი, აკადემიური ნიჩბოსნობა, ცხენოსნობა, მძლეოსნობა, სათხილამურო სპორტი, ცურვა, წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, სასტენდო სროლა და ძალოსნობა. სწორედ ამის გამოა, რომ სპორტის აღნიშნულ სახეობებში დაბალი მაჩვენებლებიც გვაქვს და საკავშირო ასპარეზზეც სუსტად გამოვიყურებით.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა შევინარჩუნოთ, ავამაღლოთ და უფრო განვამტკიცოთ ის მიღწევები და მოწინავე პოზიციები, რომლებიც საქართველოს აქვს მოპოვებული სპორტში. ამისთვის კი საჭიროა უფრო მასობრივი, ყველასათვის მისაწვდომი გავხადოთ ფიზიკური კულტურა და სპორტი. ამოცანა ის არის, რომ უკვე 1964 წლის ბოლოსთვის რესპუბლიკის მოსახლეობის 21 პროცენტი ჩავაბათ ფიზკულტურასა და სპორტში, მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან ყოველწლიურად მოვამზადოთ 4 პროცენტამდე მშთ ნიშნოსანი და 5 პროცენტამდე სპორტსმენი-თანრიგოსანი, მივაღწიოთ, რომ ყოველ 10—12 ფიზკულტურელზე მოდიოდეს 1 საზოგადოებრივი მწვრთნელი-ინსტრუქტორი.

დაიწყო 1964 წლის ახალი თვე — აგვისტო. მეტი მონდომებითა და ენერგიით შევუდგეთ დასახული ამოცანის შესრულებას! მივცეთ რესპუბლიკას ნიშნოსნების, თანრიგოსნების, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა ახალი, სრულფასოვანი შევსება!

**ნ. სომხიშვილი,**
**საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი.**

## 4 ჩემპიონი დაჯილდოვდა I ადგილი

გროზნოში დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ჩვენი გუნდი ჩემპიონატში 15 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. სამდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ I ადგილი დაიკავა საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და მოსკოვის გუნდები.

პირად ჩათვლაში „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ ბ. კაგალკინი (რსფსრ), ვ. გობოზოვი (საქართველო), ლ. მიშიევი (აზერბაიჯანი), ა. პარხომოვსკი (უკრაინა), თ. ლომიაშვილი, ს. ქარქიშვილი (ორივენი — საქართველოდან), ს. ნაზდრაჩოვი (რსფსრ), მ. ვლადიმიროვი (მოსკოვი) და ო. მაისურაძე (საქართველო).

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს: შ. ფიცხელაურმა და გ. ოგანეზოვმა, ხოლო მესამე ადგილები — თ. ლამბაშიძემ, პ. გაზაევმა და თ. ჭანტურიამ.

**შ. ნოზაძე,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

# რად ჯიუტობს ვ. კვანტალიანი?

სათანადო ელინგის უქონლობის გამო თბილისის სპორტკავშირის ძვირადღირებული კანოები, ბაიდარები, აკადემიური ნავები თუ კატარღები ხშირად ცის ქვეშ „ათევდნენ" ღამეს: ქარი, მზე და წვიმა მათი გაფუჭებით იმუქრებოდა...

გადაწყდა: ნავების ახალი თავშესაფრის მშენებლობა საქალაქო სპორტკავშირის თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგურის ტერიტორიაზე დაეწყოთ. შედგა პროექტი, დამტკიცდა ხარჯთაღრიცხვა. დამკვეთმა — ქალაქის კეთილმოწყობის კანტორამ — სამუშაოთა შესრულება მიანდო თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს სამშენებლო-სარემონტო კანტორას.

დაფაცურდა კანტორის უფროსი, მარიფათი გამოიჩინა. ჩაჰყარეს ელინგის საფუძველი (ამან შეიწირა კალათბურთის მოედანი), ერთ თვეში სანახევროდ ამოიყვანეს 50 მ სიგრძისა და 13 მ სიგანის კედლები. ქვედა სართული პროექტით ნავების სათავსოებს, სახელოსნოს, ზედა კი — დირექციას, გასახდელებს, საექიმო კაბინეტსა და წითელ კუთხეს უნდა დათმობოდა. ერთი სიტყვით, ახალი ნაგებობა საფუძვლიანად წყვეტდა მტკივნეულ საკითხს, მაგრამ... სარემონტო კანტორის უფროსმა ვ. კვანტალიანმა ვერ გადაწყვიტა მის წინაშე მდგარი ამოცანა.

დიდი ხანია მიიწურა ელინგის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა (მაისის დასაწყისი), მშენებლობა კი ისევეა, როგორც გაიყინა იანვრის დამლევს. იგი ვერც ზაფხულის პაპანაქებამ, ვერც სპორტსმენთა მხურვალე თხოვნამ — დროზე დაემთავრებინათ მშენებლობა, ვერ გაალღო.

ჯიუტობს ვ. კვანტალიანი. მიზეზი არ ელევა. ხავსს ეკიდება: ხან მასალის სიძვირეს იმიზეზებს, ხან — მუშახელისას. სინამდვილეში სამშენებლო მასალის მომარაგება და მუშახელის სიმცირე კი არ აფერხებს საქმეს, არამედ საქმისადმი კანტორის უფროსის უსულგულო დამოკიდებულება.

ამბობენ: თბილისის სპორტკავშირმა მდგომარეობის გამოსწორების ყველა გზა მოსინჯა, სასურველ შედეგს კი ვერ მიაღწიაო.

ვფიქრობთ, დარჩა ერთი მთავარი გზა, რაც ნამდვილად უშველიდა საქმეს. ესაა სათანადო ორგანიზაციების წინაშე დაკავებული თანამდებობიდან ვ. კვანტალიანის გათავისუფლების საკითხის დასმა, მისი უფრო ენერგიული, საქმის მოყვარული სპეციალისტით შეცვლა.

ეს აზრი ადრე წყალჯომარდობის სადგურის დირექტორს ვ. ასათიანსაც დაბადებია, მაგრამ იგი მორიდებული კაცია და ნაფიქრი ვერ გაუხმიანებია. ჩვენ ვამბობთ მის სათქმელს: დროა ბოლო მოეღოს გაჭიანურებულ მშენებლობას!

**ო. გელაშვილი**

* * *

**სურათზე:** თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგურის ახალი ელინგის დღევანდელი სახე. აი, ვ. კვანტალიანის „ზრუნვის" შედეგი.

ფოტო ავტორისა.



## „ტოკიო — 1964"

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების სერია.

მარკებზე აღბეჭდილია ოლიმპიური სპორტული სახეობები — მძლეოსნობა, ცხენოსნობა, ძალოსნობა, ტანვარჯიში, ფარიკაობა. ყველა მარკაზე აღნიშნულია ოლიმპიადის 5 რგოლი და სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის ემბლემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრადიცია აღდგება

ლელობურთელთა ასპარეზობა

ჩოხატაურელ სპორტის მოყვარულებს კარგა ხანია არ უნახავთ ლელობურთელთა ისეთი საინტერესო შეჯიბრება, როგორიც ამას წინათ აქ, სტადიონ-იპოდრომზე გაიმართა. ეს იყო რაიონული ჩემპიონატი. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ დაბლაციხის, ბუკისციხის, ფარცხმის, ხიდისთავის, ჩოხატაურის, ერკეთის და სხვათა გუნდები. ჩოხატაურში იგრძნობა ამ სახეობის აღორძინებისთვის ბრძოლა.

შეჯიბრება კარგად ჩაატარეს ფარცხმის კოლმეურნეობის ლელობურთელებმა. მათ მოიპოვეს რაიონის ჩემპიონის წოდება და რესპუბლიკის პირველობაში მონაწილეობის უფლება.

ი. ცინცაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
დ. გურგენიძე.

ჩოხატაური.

# მეტი ყურადღება — მძლეოსნობის განვითარებას!

— ეს მოხდა სოფელ ოტობაიაში, — მოგვითხრობს გალის სპორტკავშირის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი გ. ქყოიძე. — მშთ-ს ნორმატივს 100 მეტრზე რბენაში ახალგაზრდები აბარებდნენ. მოულოდნელად სრულიად უცნობმა ჭაბუკმა მანძილი 11,8 წამში დაფარა. შედეგმა ყველა გაგვაოცა. წამზომები არ ტყუოდნენ... სოფლად არიან ნიჭიერი მძლეოსნები, რომლებთან აუცილებელია მუშაობა.

სამწუხაროდ, გალში ვერ დაიტრაბახებენ მძლეოსნებით, თუმცა სპორტის აქაურმა მესვეურებმა კარგად იციან, თუ რა უნდა გააკეთონ. მათი მთავარი ხელშემშლელი მიზეზია კვალიფიცირებული მწვრთნელების დიდი ნაკლებობა.

დღეისთვის კი მდგომარეობა ასეთია: გალში სპორტულ კადრებს ძირითადად სპორტსკოლა ამზადებს. სხვა სექციებთან ერთად აქ მუშაობს მძლეოსნობისაც, რომელსაც ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ნ. კორსანტია ხელმძღვანელობს. მას გოგონებისა და ჭაბუკების თითო ჯგუფი ჰყავს. სხვათა შორის, ამ სკოლის აღზრდილმა ზაირა ქვაჩახიამ წელს საქართველოს პირველობაზე კროსში III ადგილი დაიკავა. 20 ნორჩ მძლეოსანს ამეცადინებს გამოცდილი მწვრთნელი, „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე კ. ეზუგბაია. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. გალის რაიონის სოფლის ჭაბუკები და გოგონები მოკლებული არიან გამოცდილი სპეციალისტის თვალს, მაშინ, როცა ბევრ მათგანს წარმატებით შეუძლია ივარჯიშოს მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში.

— როგორ ფიქრობთ მდგომარეობის გამოსწორებას?

— პირველ რიგში, ფიზკულტურის ინსტიტუტს უნდა ვთხოვოთ მოავლინოს

## მწვრთნელები აკლიათ

გალში თავისი კურსდამთავრებული — მძლეოსნობის სპეციალისტი, — ამბობს გ. ქყოიძე. — სპეციალისტების ჩამოსვლამდე კი პირდაპირ არ ვიცით, რა ვიღონოთ.

საჭიროა დავეხმაროთ გალელებს. იქნებ ჯერ დროებით მაინც მივავლინოთ რაიონში გამოცდილი მწვრთნელები?!

თ. ნინოშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).

გალი.

არც ისე იოლია, ისიც მაისის ბოლოს, როცა ყველგან მჩქეფარე საკოლმეურნეო მუშაობაა გაშლილი, სტარტზე გამოიყვანო მძლეოსანთა 17 გუნდი. ეს იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ არავის სურს უბრძოლველად დათმოს რაიონის ჩემპიონის სახელი.

და აი, გაჩაღდა ბრძოლა. სამი დღე ასპარეზობდნენ კოლმეურნეობების წარგზავნილები... ჩემპიონის სახელისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სოფელ ვარაკიჩის შაუმიანის სახელობის, ქვითოულისა და კოჩარას გუნდები. მხოლოდ დასკვნით დღეს გაირკვა, რომ ჩემპიონის წოდება შაუმიანელებმა დაისაკუთრეს (მწვრთნელი მ. ელექჩიანი). მეორე ადგილი მოიპოვეს კოჩარელებმა (მწვრთნელი ა. გელაშვილი), მესამე — ქვეთოულელმა მძლეოსნებმა.

ეს არ იყო პირველი შეჯიბრება. ადრე იპოდრომზე მოეწყო რაიონის პირველობა კროსში, რომელშიც 14 გუნდი მონაწილეობდა. სტარტზე 141 მძლეოსანი გამოვიდა. საინტერესოა, რომ აქაც მეორე ადგილი კოჩარელებმა დაიკავეს, ჩემპიონობა კი სოფელ ჭილოუს სპორტსმენებს ერგოთ. ამ პირველობამ მძლეოსნობის ქომაგებს თავიანთი მუშაობის ავ-კარგი დაანახვა.

კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას შეჯიბრებებზე, რომლებშიც ოჩამჩირელები გამოდიან წარმატებით. აქ ბავშვებთან მუშაობაც არ ავიწყდებათ. „კოლმეურნის" რაისაბჭოსთან ჩამოყალიბებულია მძლეოსნობის ორი ჯგუფი, (მწვრთნელი შ. ხოჭავა), ერთ ჯგუფში

## სტარტზე — ოჩამჩირელები

გაერთიანებული არიან ოჩამჩირელი ნორჩები. სწორედ ამ ჯგუფში მომზადებული სპორტსმენები იცავენ ხოლმე რაიონის სახელს.

ოჩამჩირეში არის მძლეოსნობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. ამის ხორცშესხმაზე რაიონის ფიზკულტურული ხელმძღვანელები მუდამ ფიქრობენ.

ჯ. ვაჩიბერიძე
(ჩვენი სპეც. კორ.).

ოჩამჩირე.



ქვიშხეთის პიონერთა რესპუბლიკურ ბანაკში გაცხოველებული სეზონია. აქ ყველაფერია შექმნილი იმისთვის, რომ ნორჩებმა ნამდვილად, შინაარსიანად დაისვენონ ნაძვნარში, გაიკაჟონ სხეული, აღიდგინონ განვლილ სასწავლო წელს დახარჯული ენერგია და ახალი ძალებით შეუდგნენ მომავალს.

ყველაფერი აქ საამისოდაა გამიზნული — ნოყიერი კვებაც, გასართობები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, წარმტაცი ლაშქრობები... საამისოდაა გამიზნული ბანაკში სანიმუშო დონეზე დაყენებული ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობაც, რომელიც შეუფერხებლად ტარდება ყოველ ნაკადთან (თვითეულ ნაკადში 400 ბავშვია). მთელს ამ მუშაობას უნარიანად წარმართავენ ენერგიული, საქმის მცოდნე პედაგოგები — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები გ. ღლონტი და ე. ქოზიაშვილი.

ქვიშხეთის პიონერთა რესპუბლიკური ბანაკის განკარგულებაშია კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზათა მდიდარი ქსელი: კალათბურთის, ფრენბურთის (ორი) და ხელბურთის მოედნები, საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტი, ტირი, მძლეოსნური სექტორები, მაგიდის ჩოგბურთის ბაზა, ჭადრაკისა და შაშის კუთხეები. ყველა ამ სპორტულ სახეობაში რეგულარულად მოქმედებენ ნორჩთა სექციები. და არა მარტო სექციები...

როგორც პირველ, ისე მეორე ნაკადში ჩატარდა მასობრივი სპარტაკიადები, რომელთა პროგრამა ყველა ზემოაღნიშნულ სახეობას მოიცავდა. თუმცა, მეორე ნაკადის სპარტაკიადა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, იმდენად მდიდარია მისი „მარათონული დისტანცია". პირველ ნაკადში კი გამარჯვება I რაზმის სპორტსმენებს ხვდათ წილად.

## ნაძვნარი გულს უღებს პატარებს

ჩატარდა აგრეთვე ტურისტული ლაშქრობა 24 კილომეტრზე (ღამის თევით), რამაც პატარებს უდიდესი სიამოვნება და წარუშლელი შთაბეჭდილებები მიანიჭა. ლაშქრობის ტრასა გადიოდა საქარნოს, დედაბრისა და მთაწმინდის ტყიან სერებზე — დაბურულ ნაძვნართა შორის.

* * *

სურათებზე: ბანაკის მაგიდის ჩოგბურთელთა და ხელბურთელთა ასპარეზობის მომენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## ახალი ამბები

● ლვოვი. ჭაბუკ მოცურავეთა საკავშირო პირველობაზე თავი გამოიჩინა მოსკოველმა სპარტაკელმა ალექსანდრე პლეტნიოვმა. 400 მ თავისუფალი სტილით მან გაცურა 4.36,8, რაც ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდია.

● მოსკოვი. სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის პლანერისტმა ვ. ჩუვიკოვმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ორადგილიანი პლანერით „კაი-19"-ით (მგზავრი — ი. ლოგვინოვი) ფრენაში. 300-კილომეტრიანი დახშული სამკუთხოვანი მარშრუტი მან დაფარა საათში საშუალოდ 92 კმ სისწრაფით, რაც 10 კმ-ით უმჯობესია როსის (აშშ) მიერ 1958 წელს ნაჩვენებ მსოფლიო მიღწევაზე.

● როსტოვი. „როსტოვენერგოს" 24-მა მოტოტურისტმა აიღო სტარტი მარშრუტით: როსტოვი — თბილისი — სოხუმი — ნოვოროსიისკი — როსტოვი. მოტომრბოლელები დაფარავენ 3800 კილომეტრს.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ბ" კლასი

გათამაშების ცხრილი
რსფსრ-ს IV ზონა
მდგომარეობა 5 აგვისტოსათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „თერგი" (გროზნო) | 20 | 11 | 7 | 2 | 29—12 | 29 |
| „დინამო" (ბათუმი) | 20 | 10 | 7 | 3 | 25—10 | 27 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 19 | 9 | 6 | 4 | 24—20 | 24 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 20 | 10 | 3 | 7 | 23—14 | 23 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 20 | 8 | 7 | 5 | 15—13 | 23 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 20 | 8 | 7 | 5 | 22—21 | 23 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 20 | 8 | 6 | 6 | 25—27 | 22 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 19 | 9 | 3 | 7 | 34—22 | 21 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 19 | 5 | 9 | 5 | 24—25 | 19 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 20 | 6 | 6 | 8 | 26—24 | 18 |
| „დინამო" (სოხუმი) | 20 | 6 | 6 | 8 | 19—21 | 18 |
| „შრ. რეზერვები" (კავმინვოდი) | 19 | 4 | 9 | 6 | 13—17 | 17 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 19 | 4 | 8 | 7 | 18—20 | 16 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 20 | 6 | 4 | 10 | 13—25 | 16 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 20 | 3 | 9 | 8 | 15—19 | 15 |
| „შირაქი" (ლენინაკანი) | 20 | 4 | 7 | 9 | 13—21 | 15 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 20 | 5 | 5 | 10 | 20—41 | 15 |
| „დინამო" (ბაქო) | 20 | 5 | 4 | 11 | 24—30 | 14 |

## ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს მოსკოვში, ადგილობრივი ცსკა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში შეხვდება თბილისის „დინამოს", ხოლო კიევში — უკრაინის დედაქალაქის დინამოელები ეთამაშებიან ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებს.

საქართველოს რადიო აწყობს ამ მატჩების ტრანსლაციას: **21 საათზე — მოსკოვიდან, 22 საათსა და 25 წუთზე — კიევიდან** (დრო ადგილობრივია).

# „იმედის თასზე"

სსრ კავშირის ქალაქებში მიმდინარეობს მოზარდ ფეხბურთელთა შეჯიბრება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებულ „იმედის თასზე". ესაა მატჩები ზონებში, რომელშიც გამარჯვებულები ფინალში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ.

**I ზონაში** წინაა ტაჯიკეთის გუნდი, რომელმაც 4 ჩატარებული შეხვედრიდან 3 მოიგო და მხოლოდ ერთი დაამთავრა ფრედ. მეორე ადგილზეა პრიზის შარშანდელი მფლობელი — უზბეკეთის ნაკრები — 5 ქულა 6-დან.

**II ზონა.** აქ ლიდერია საქართველოს ნაკრები. ჩვენმა გუნდმა ჩაატარა ორი მატჩი და ორივე მოიგო. სომხეთის ფეხბურთელები 2 ქულით მეორე ადგილზე არიან.

**III ზონაში** 4 ქულა 4 შესაძლებლიდან აქვს ბელორუსიის გუნდს. მეორე ადგილზე მყოფმა მოსკოვის ფეხბურთელებმა ჩაატარეს 3 შეხვედრა და დააგროვეს 3 ქულა.

**IV ზონა.** უკრაინის გუნდს 4 ქულა აქვს 2 ტურის შემდეგ. ლენინგრადის ნაკრები ლიდერს ჩამორჩება 1 ქულით.



## ჩეხური ჩანაწერები

# 8. ტურნე დამთავრდა

ჩვენი მოგზაურობა დასასრულს მიუახლოვდა... პრაღიდან კარლოვი ვარს გავემგზავრეთ, იქიდან კი ერთი დღით პლზენს მივაკითხეთ. იქ დასავლეთ ჩეხიის ხელბურთის სექციამ მიგვიპატიჟა. მასპინძლები ქალაქის ცენტრში დაგვხვდნენ და უმალვე პლზენის საქვეყნოდ ცნობილ ლუდის ქარხანაში წაგვიყვანეს. ხელბურთელებმა ინტერესით დაათვალიერეს ქარხანა, მაგრამ უარი განაცხადეს ყინულივით ცივი ლუდის ჭაშნიკზეც კი: ორიოდე საათის შემდეგ თამაში ჰქონდათ დაბა შტიაგლავის გუნდთან და ლუდისთვის არავის ცხელოდა.

თბილისელებს ჩეხოსლოვაკური ხელბურთი პირველად სწორედ პლზენის სპორტსმენებმა აჩვენეს. ეს იყო პირველი ძლიერი საზღვარგარეთული კოლექტივი თბილისში, რომელთანაც ორ შეხვედრაში მასპინძლებმა ბევრი კარგი რამ ისწავლეს. გვეგონა, რომ კვლავ ამ გუნდს შევხვდებოდით, მაგრამ ბოლო მომენტში გვითხრეს, რომ შტიაგლავის ხელბურთელებთან ითამაშებთო, რომლებმაც II ლიგის გუნდების წლევანდელ ტურნირში მხოლოდ III ადგილი დაიკავეს.

შტიაგლავი პლზენიდან თხუთმეტიოდე კილომეტრითაა დაშორებული და მასში სულ 500 კომლი ცხოვრობს. სტადიონი გამოჩნდა თუ არა, უმალ დავინახეთ რა გულმოდგინედ მომზადებულიყვნენ ჩვენი მასპინძლები. საუცხოო სტადიონი სადღესასწაულოდ იყო მორთული და მაყურებლები ვარდების თაიგულებით გველოდნენ.

შტიაგლავის სპორტული ბაზა მწვანეში ჩაფლულ მშვენიერ კურორტს ჰგავს, აქვს კეთილმოწყობილი სათავსოები, გასახდელები, საშხაპეები. აქაურები დიდი სიყვარულით უვლიან თავის ბაზას, სათუთად ინახავენ ყველა იმ რელიქვიას, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ ჩატარებულ ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო მნიშვნელობის მატჩებთან. საპატიო სტუმრების წიგნში მათ მიერ ჩატარებული ყველა მატჩთან დაკავშირებული მასალა თვალსაჩინოდაა თავმოყრილი. აქ ჩვენც დავტოვეთ კვალი.

ერთ-ერთ ოთახში ვნახეთ ახალგაზრდის სურათი, რომელიც შავი ასოებით შემორტყმულ ჩარჩოში იყო ჩასმული.

— იგი 1945 წლის 7 მაისს დაიღუპა გერმანელ ნაცისტებთან ბრძოლაში, — გვითხრეს მასპინძლებმა. — მილოშ რადაა მისი სახელი და გვარი. შესანიშნავი ხელბურთელი იყო და ასეთივე კარგი მებრძოლი აღმოჩნდა.

...მეოთხე მატჩი ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო: მგონი არც თუ ისე ხელწამოსაკრავ გუნდთან გვქონია საქმე! თამაში კარგა ხანს თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მხოლოდ შემდეგ — შუა ტაიმში გამოიკვეთა ჩვენი ხელბურთელების უპირატესობა. პირველი ნახევარი მოვიგეთ კიდეც — 8:4, მეორე ნახევარში კი მასპინძლებმა უკეთ ითამაშეს და საბოლოო ანგარიში 16:12 იყო ჩვენი გუნდის სასარგებლოდ.

თავი ისახელეს ჩვენმა მეკარეებმა — აბაიშვილმა და ხუციშვილმა. პირველმაც და მეორემაც 7-მეტრიანი საჯარიმოები მოიგერიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საშუალო სკოლის მოსწავლე ხუციშვილი. ამ შეხვედრაში მან 20 წუთი ითამაშა, მაგრამ ისე ლამაზად, სხარტად და გააზრებულად, რომ გეგონებოდათ აბაიშვილისავით მრავალ „ომგადახდილი" მეკარე იდგა კარში.

შტიაგლაველები კარგად თამაშობენ. აღსანიშნავია, რომ ჩეხოსლოვაკიაში ასეთი გუნდი საკმაოდ ბევრია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩეხოსლოვაკებს მარქაფის საქმე ძალიან კარგად აქვთ. თვით პლზენის „სპარტაკ-სოკოლოვოს"— ამ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი წამყვანი გუნდის შევსებას ხომ სწორედ შტიაგლაველები იძლევიან. უნებურად დამებადა კითხვა, ჩვენში რატომ არაა ასე? საქართველოს სოფლებში რატომ არ უნდა ჰყავდეთ ძლიერი კოლექტივები? პასუხი ერთია — ჩვენს ფიზკულტურულ კოლექტივებში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა კეთდება ხელბურთის დანერგვა-განვითარებისთვის.

მაშ ასე, ჩეხოსლოვაკიაში თბილისელ ხელბურთელთა ტურნე დამთავრდა. 4 მატჩი — 3 მოგება, 1 წაგება, საერთო ანგარიში 79:69. ოთხივე მატჩში ჩვენმა მთავარმა ბომბარდირმა ცერცვაძემ გაიტანა 31 ბურთი, ანთაძემ, ფხაკაძემ და კარტოზიამ — 10-10, ექსეულიძემ — 7, კოპალეიშვილმა —5, ბაგრატიონმა და ზარდალიშვილმა — 3-3.

ყველას სამშობლოსკენ მიგვეჩქარება... საზღვარგარეთული „ტაიმაუტი" მოთავდა. წინ ახალი შეჯიბრებებია...

**ჯ. ენუქიძე**

პრაღა—თბილისი.

* * *

**... როცა პრაღაში ხმა დაირხა, „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს ხვდებიან „სლავიის" ვეტერანები და ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მსახიობთა გუნდიო, სპორტის მოყვარულებს შინ აბა რა გააჩერებდა. განსაკუთრებით კი ლეგენდარული მეკარის პლანიჩკას თაყვანისმცემლებს... სტადიონზე შეიკრიბნენ არა მარტო ფეხბურთის მოყვარულნი, არამედ მუსიკოსები, ხელოვნების მუშაკები. სურათზე აღბეჭდილია ადგილობრივი საესტრადო ორკესტრის ზეგეგმითი კონცერტი „დინამოს" სტადიონზე.**

## პირველად — პირველნი

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული საჭადრაკო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ქართული ჭადრაკის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გოგლიძე, უკვე მრავალი წელია არსებობს. აქ ბევრმა ნიჭიერმა ჭაბუკმა და გოგონამ აიდგა ფეხი და ჭადრაკის დიდ სარბიელზე გავიდა.

და აი, ტალინში მოსწავლეთა საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდმა I ადგილი დაიკავა. მან დასკვნით ტურში გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო ლენინგრადელებს — 6,5:1,5. გუნდი მთლიანად (ერთის — ქუთაისელი თ. გიორგაძის გამოკლებით) დაკომპლექტებული იყო თბილისის სპორტსკოლის აღზრდილებით (ლ. კერნოჟიცკი, გ. ციხელაშვილი, ზ. მიქაძე, ე. კარკმაზოვი, გ. ვარდოსანიძე, გოგონები — ც. კახაბრიშვილი და ნ. ჩიქობავა. მწვრთნელები — პ. ხიზანიშვილი და ო. ალიხანოვი).

პირველი წარმატება დიდი ნაოსნობის კარგი დასაწყისია.

## ჩვენ მასპინძლები ვიქნებით

საქართველოს მოჭადრაკე ქალებმა დიდად გაითქვეს სახელი სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და ჩვენში ტრადიციად ქცეულ ქალთა საერთაშორისო ტურნირებში მარჯვე თამაშით. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციას, როცა საქართველოს ჩემპიონატს (ისევე, როგორც რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ქალთა პირველობებს) საკავშირო ასპარეზობის ნახევარფინალის უფლებები მიანიჭა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, სსრ კავშირის XIV ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 15 ნოემბერს აიღებს სტარტს თბილისში, გავიდნენ საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, ნ. ალექსანდრია (ორივენი — საქართველოდან), ოსტატები ნ. კონოპლიოვა, რ. კაზმინა (ორივენი — რსფსრ-დან) და უკრაინის ჩემპიონი რ. ვაპნიჩნაია. ფინალში ითამაშებენ აგრეთვე პერსონალურად მიწვეულნი — მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ექს-ჩემპიონი ე. ბიკოვა, სსრ კავშირის ჩემპიონი მ. რანიკუ, პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენი ვ. ბორისენკო, ტ. ზატულოვსკაია, კ. ზვორიკინა და ა. კუშნირი.

ჩემპიონატის ფინალში 20 მოჭადრაკე ითამაშებს. ამიტომ დანარჩენ 11 მონაწილეს გამოავლენს ნახევარფინალები, რომლებიც ორი დღის წინ დაიწყო მოსკოვში, რიგაში, ლენინგრადსა და ალმა-ატაში. თვითეული ნახევარფინალიდან, რომლებშიც 14-14 მოჭადრაკე თამაშობს, ფინალში მხოლოდ 2-2 გავა.

## ალმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი...

▲ **ლონდონი.** „უაიტ-სიტის" სტადიონზე ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა პოლონელმა მძლეოსანმა ვიტოლდ ბარანმა. მან 1 მილი გაირბინა 3 წუთსა და 56 წამში.

▲ **ლოს-ანჯელოსი.** **15 წლის მოსწავლე გოგონამ შარონ სტაუდერმა თავის ძირითად სახეობაში — ბატერფლაის სტილით ცურვაში 100 მ აჩვენა ბრწყინვალე დრო — 1.05,4, რაც 0,7 წამით უკეთესია ჰოლანდიელი ადა კოკის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე.**

▲ *სტოკჰოლმი.* ახლახან დამთავრებული ეროვნული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა შვეციის მოცურავეთა ოლიმპიური ნაკრები. გუნდში შევიდნენ: ვაჟები — ლინდბერგი, ბენგტსონი, ნორდვალი, სვენსონი, ლუნდინი, როზენდალი; ქალები — ჰაგბერგი, ლიუნგრენი და ლილი.

▲ **ვარშავა.** 64 ავტომანქანიდან — ტრადიციული ავტორალის „პოლონეთის" მონაწილეთაგან — რომლებმაც სტარტი აიღეს ბელგრადში, ბერლინში, კოპენჰაგენში, ნიურნბერგსა და ვარშავაში, მხოლოდ 24-მა მიაღწია კრაკოვამდე. ესენი არიან ეკიპაჟები პოლონეთიდან (11), სსრ კავშირიდან (4), გდრ-იდან (4), შვეციიდან (2), იტალიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და დანიიდან. რალის პირველი ეტაპი კარგად განვლეს საბჭოთა ავტომობილისტებმა, რომლებმაც დაიკავეს II ადგილი (პოლონეთის შემდეგ). პირად ჩათვლაში 1.600 კბ სმ კლასის მანქანათა რბოლაში ყველას აჯობა მოსკოველმა ე. ლიფშიცმა. ავტორალის მეორე ეტაპი (2.400 კმ) სამხრეთ პოლონეთის გზებზე გადის. სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრებიან აგრეთვე რკალურ რბოლასა (კრაკოვში) და საავტომობილო სლალომში (ზაკოპანეში). რალი „პოლონეთი" შეაჯამებს ავტომობილისტთა საერთაშორისო გუნდურ ასპარეზობას „ერთა ტროფეის" პრიზზე.

## მეორე ადგილზე

**ვორონეჟი,** 4 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო პირველობა ხელბურთში. საქართველოს ხელბურთელმა ვაჟებმა დაამარცხეს ყირგიზელი სპორტსმენები — 25:20, ლენინგრადელი მოსწავლეები — 15:14 და გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ აზერბაიჯანის წარმომადგენლებს. გამარჯვების სასწორი მეტოქეთა მხარეზე გადაიხარა — 22:17 და ქართველი ხელბურთელები მეორე ადგილზე დარჩნენ.

გოგონათა შორისაც წარმატება აზერბაიჯანელებს ხვდათ წილად.

## ბუდაპეშტი ელოდება კალათბურთელებს

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უნგრეთის დედაქალაქი მესამეჯერ გაუწევს მასპინძლობას ევროპის კალათბურთელთა უძლიერეს გუნდებს. აქ გაიმართება კონტინენტის ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში ქალთათვის. 1950 წელს ევროპის ჩემპიონის სახელს ამ ქალაქში ერთმანეთს ეცილებოდნენ ქალები, 1955 წელს — ვაჟები. ახლაც, მიმდინარე წლის 6 სექტემბერს ბუდაპეშტში სტარტი მიეცემა ევროპის მორიგ ჩემპიონატს ქალთა შორის.

მასში მონაწილეობის სურვილი ოფიციალურად განაცხადეს ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, რუმინეთის, პოლონეთის, იტალიის, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდებმა.

თამაშები მოეწყობა ბუდაპეშტის ცენტრალური სტადიონის მცირე მოედანზე, რომელიც 10 ათას მაყურებელს იტევს. ცუდ ამინდში შეჯიბრებები გაიმართება იქვე მდებარე საკმაოდ მოზრდილ სპორტულ დარბაზში.

## წერილი რედაქციას

# რატომ არ გვაქვს სპორტის მუზეუმი?

გაზეთ „ლელოს" 16 ივლისის ნომერში ჩვენი ყურადღება მიიქცია „ჩეხური ჩანაწერების" შემდეგმა სტრიქონებმა:

...„რატომ არა გვაქვს ჩვენ ასეთი მუზეუმები საქართველოში?! საჭიროა კია! განა ქართული სპორტის ძვირფასი ტრადიციების, მისი მიღწევების ამსახველი მასალების შეგროვება და გამოფენა საჭირბოროტო, საშვილიშვილო საქმედ არ უნდა გვესახებოდეს?"

სავსებით ვიზიარებთ ამ სამართლიან გულისტკივილს და ჩვენის მხრივ ვუმატებთ: ჭეშმარიტად დიდია ამ წინადადების სიკეთე — ქართული სპორტის ამსახველი მასალების შეგროვება და გამოფენა. ამ საკითხის გადაჭრის საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია სპორტის სასახლე, სადაც ყველა პირობაა იმისათვის, რომ სახალხოდ გამოიფინოს ჩვენი ძვირფასი სპორტული რელიქვიები.

ყველა აქ მოსულს — უშუალოდ ასპარეზობაში მონაწილეს თუ მაყურებელს, საშუალება ექნება თვალნათლივ გადახედოს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ისტორიის შესანიშნავ ფურცლებს.

და, რაც მთავარია, სპორტული მუზეუმის დაარსება კიდევ უფრო წინ წაწევდა ქართულ სპორტს, კიდევ უფრო აქტიურად განაწყობდა ჩვენს ახალგაზრდობას სპორტულ სექციებში მასობრივად ჩაბმაზე, ხელს შეუწყობდა დიდ სპორტულ სარბიელზე ახალი სახელების გამოჩენას.

**მ. ჯანგიძე,**
გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების პედკაბინეტის გამგე, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინსპექტორი,

**ა. სოსელია,**
ბეთანიის სკოლა-ინტერნატის ისტორიის მასწავლებელი.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05968